

ციხისჯვრის მაგნიტური ანომალიის გეოლოგიური ინტერპრეტაცია

გურამ ქუთელია^ა

ნარგიზ აბუთიძე^ბ

ნონა ლურსმანაშვილი^ბ

ნანა ანაკიძე^ბ

ელ-ფოსტა: guram.kutelia@tsu.ge

^ა გეოლოგიის დეპარტამენტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, უნივერსიტეტის ქ., 2. თბილისი, 0143

^ბ გეოლოგიის დეპარტამენტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, უნივერსიტეტის ქ., 2. თბილისი, 0143

კვლევის მიზანი იყო აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის ცენტრალურ ნაწილში ლოკალური მაგნიტური ანომალიის – ციხისჯვრის მაგნიტური ანომალიის გეოლოგიური ინტერპრეტაცია.

ციხისჯვრის მაგნიტური ანომალია აღმოჩენილ იქნა გასული საუკუნის 60-იან წლებში ჩატარებული 1:50 000-იანი მასშტაბის აერომაგნიტური აგეგმვით. რომელზეც დაფიქსირდა 3000 ნტლ ინტენსივობის ანომალია. დიდი ინტენსიურობის გამო მას თავდაპირველად რკინის საბადოს შესაძლო არსებობას უკავშირებდნენ. თუმცა შემდგომ დადგინდა, რომ აქ გავრცელებულია შუა ეოცენური ასაკის ქანები – ანდეზიტები, ანდეზიტო ბაზალტები, ტუფობრექჩიები, რომლებიც დიდი რაოდენობით ფერომაგნიტურ მინერალებს შეიცავს.

ციხისჯვრის ლოკალური მაგნიტური ანომალია დაახლოებით 2.7 კვადრატულ კილომეტრ ფართზე ვრცელდება (3 x 0.9)კმ. ეს გარემოება თავიდანვე გამორიცხავს მისი გამომწვევი წყაროს დიდ სიღრმეზე მდებარეობას. ციხისჯვრის მაგნიტური ანომალია წარმოადგენს ცალკეული (დაახლოებით ექვსი) იზოლირებული ანომალიის ერთობლიობას, რომელთაც საერთო ანომალური ფონი აქვს. ანომალიების ასეთი სურათი გვაფიქრებინებს, რომ ყველა ამ შედარებით მცირე ფართობზე გავრცელებულ ძლიერ ანომალიას შეიძლება წარმოქმნის ერთი წყარო ჰქონდეს. თავის მხრივ, ეს წყარო შეიძლება იყოს არა ერთი ვულკანი, არამედ ამ ანომალიების ცენტრების შემაერთებული ხაზის ქვეშ გამავალი რღვევა. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ანომალიის გამომწვევი სხეულის სიმძლავრე 180-250 მ-ის ფარგლებშია.